შეთანხმება # 7/29

ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრსა და ააიპ „ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინტეგრაციისა და განვითარების ასოციაცია ჰანგი“ -ს შორის 2018 წლის 14 ივნისს დადებული №29 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანაზე

ქ. ზუგდიდი *22 ივნისი, 2018 წელი*

ერთი მხრივ, *ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი* (შემდგომში _ შემსყიდველი), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, დირექტორის მანუჩარ სამუშიას სახით და მეორე მხრივ, *ააიპ „ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინტეგრაციისა და განვითარების ასოციაცია ჰანგი“* (შემდგომში _ მიმწოდებელი), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, გამგეობის თავმჯდომარის რუსლან საჯაიას სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც _ მხარეები, ვთანხმდებით შემდეგზე:

აღწერილობითი ნაწილი:

,,შემსყიდველის“ მოთხოვნით შეიცვალოს შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები და მიწოდების ვადად განისაზღვროს 2018 წლის 28 სექტემბრის ჩათვლით, აღნიშნულის შესაბამისად შეიცვალოს ხელშეკრულების მოქმედების ვადა. შესაბამისად აუცილებელია შევიდეს ცვლილება ხელშეკრულების 3.1 და 17.6 ქვეპუნქტებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე:

1. ხელშეკრულებაში ცვლილებასთან დაკავშირებით 2018 წლის 14 ივნისს დადებულ №29 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში (შემდგომში _ ხელშეკრულება) შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები:
   - მე-3 პუნქტი (მომსახურების გაწევის პირობები) 3.1 ქვეპუნქტი – წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება გაწეული უნდა იქნეს ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან 2018 წლის 28 სექტემბრის ჩათვლით.
   - მე-17 პუნქტი (დასკვნითი დებულებანი) 17.6 ქვეპუნქტი - ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით. თუ, ამ თარიღისათვის არ არის შესრულებული რომელიმე ვალდებულება ხელშეკრულება ავტომატურად გაგრძელდება მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების მომენტამდე.
2. ხელშეკრულების დანარჩენი პუნქტები და დებულებები უცვლელია და მხარეები ადასტურებენ მათ მიმართ თავიანთ ვალდებულებებს, ისევე როგორც ხელშეკრულების მიმართ.
3. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია 2 (ორი) თანაბარუფლებიანი ძალის მქონე ეგზემპლარად, 1 (ერთი) ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო 1 (ერთი) ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს.

შემსყიდველი	*მიმწოდებელი*
ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ხელოვნებისა და კულტურის განვიტარების ცენტრი-ს	*ააიპ „ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინტეგრაციისა და განვითარების ასოციაცია ჰანგი“*
დირექტორი:	
..... /მ. სამუშია/	..... /რ. საჯაია/